საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ედიბერიძე ალექსანდრე გიორგის ძე

ედიბერიძე ალექსანდრე გიორგის ძე (დ. 13. III. 1937, თბილისი), ინჟინერი გამოთვლითი ტექნიკის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987), საქართვ. საინჟინრო აკად. წევრ-კორესპონდენტი (2003). 1962 დაამთავრა საქართვ. პოლიტექნიკური ინ-ტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი. 1965 მუშაობა დაიწყო ელექტრონიკის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1986-იდან ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე. არის ბიზნესის ხელშემწყობი საკონსულტაციო-ანალიტიკური სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი. ე-ის სამეცნ. კვლევები ეხება მათ. მოდელირების, ალგორითმული ენებისა და პროგრამირების კომპიუტერული მოდელირების დამუშავებას საქართველოში.

თხზ.: ბიზნესის მართვა, თბ., 2009.